პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---თებერვალი 2019 წელი

ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ქართულ-ეზიდური მეგობრობის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) სამგორის რაიონში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს ქართულ-ეზიდური მეგობრობის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ეზიდური ტაძარი
Opposite to Varketili
Microdistrict IIIa, #3
Rismena St
Rismena St
Rismena St
Ojaleshi St
Gas Station
ნეოგაზი
Urban Bakery
Google

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
სამგორის რაიონის გამგეობა
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
SAMGORI DISTRICT MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **37-01182341227**
თარიღი: **22/08/2018**
პინი: **0068**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი შემდგომი რეაგირებისათვის გეგზავნებათ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობაში 2018 წლის 6 აგვისტოს შემოსული ეზიდთა სასულიერო საბჭოს N2/162 (რეგისტრირებული N10/01182181822-01) წერილი.

დანართი: წერილი.

პატივისცემით,

კახაბერ გულედანი

სამგორის რაიონის გამგეობა-პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(გამგებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ეზიდთა სასულიერო საბჭო საქართველოში
აღმასრულებელი დირექტორი
ŞÊWRDARIYA RUHANIYA ÊZDIYAN LI GURCISTANÊ
Birêvebirê rêvebiryê

SPIRITUAL COUNCIL OF YEZIDIS IN GEORGIA
Executive director
ДУХОВНЫЙ СОВЕТ ЕЗИДОВ В ГРУЗИИ
Исполнительный директор

0163 თბილისი, ვიქტორ კუპარაძის ქ. №60
Tel: (+995 32) 223 62 25
yezidi.ge@gmail.com
www.yezidi.ge
0163 Tbilisi, Viktor Kupradze str. №60

06.08.2018

№2/162

ქ. თბილისის მერს

ბატონ კახა კალაძეს

ბატონო კახა,

მოგახსენებთ, რომ ჩვენი თხოვნით ეზიდთა ტაძრის და კულტურის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე (ვ.კუპრაძის 60) ქ.თბილისის სამგორის რაიონის გამგეობამ მოაწყო მშვენიერი სკვერი, რისთვისაც ეზიდური თემის სახელით მადლობას მოგახსენებთ.

ნიშანდობლივი იქნება თუ ამ სკვერს ოფიციალური სახელწოდება მიენიჭება და მოეწყობა მისი გახსნის ცერემონია. ჩვენი შემოთავაზება იქნება, რომ სკვერს მიენიჭოს ეზიდურ-ქართული მეგობრობის სახელი. ეს კიდევ ერთხელ გაუსმევს ხაზს ჩვენი ხალხების ისტორიულ მეგობრობას, ჩვენ ქვეყანაში არსებულ მრავალფეროვნებას და ტოლერანტულ გარემოს.

პატივისცემით,

ეზიდთა სასულიერო საბჭოს აღმასრულებელი დირექტორი

როსტომ ამადოვი

406054825

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: **03-031827742**
თარიღი: **04/10/2018**
პინი: **5410**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ბატონ ალექსანდრე ტოგონიძეს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამგორის რაიონის გამგებლის კახაბერ გულედანის 2018 წლის 22 აგვისტოს საქმე #16-031823459-03 დაკავშირებით, რომლითაც ეზიდთა სასულიერო საბჭოს აღმასრულებელი დირექტორის როსტომ ამადოვის მომართვის საფუძველზე ითხოვს სამგორის რაიონში, ვ.კუპრაძის ქ. N60 მდებარე სკკერის სახელდებას.

როგორც მოგეხსენებათ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია სახელდების შესახებ დაყენებულ ინიციატივას დაურთოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან მოპოვებული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული მასალა XY კოორდინატების მითითებით WGS-84 კოორდინატთა სისტემაში.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები. ჩვენი მოსაზრებით, ქუჩის განვითარების არეალმა უნდა მოიცვას ჩვენს მიერ რუკაზე არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია (იხილეთ დანართი).

გთხოვთ, შეისწავლოთ განცხადებაში მითითებული გარემოებები და გამოგვიგზავნოთ ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დამატებით გაცნობებთ, რომ მერიის ინტერაქტიულ რუკაზე (MAPS.TBILISI.GOV.GE) საკადასტრო ერთეულს ახალი გენერალური გეგმის პროექტით (04.07.2018) მინიჭებული აქვს საცხოვრებელი ზონა 6 სტატუსი.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი